მარიამი გუგუნავა

ა ვ ტ ო ბ ი ო გ რ ა ფ ი ა

მე, მარიამი გუგუნავა დავიბადე 1995 წლის 23 მაისს საქართველოში, ქალაქ ქობულეთში. 2013 წელს დავასრულე სოფ. ქობულეთის საჯარო სკოლა და ჩავირიცხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. სწავლის პარალელურად ვმუშაობდი რამდენიმე კერძო კომპანიაში. იურიდიული ფაკულტეტის 2018 წლის 22 მარტის N3 გადაწყვეტილებით მომენიჭა სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. 2019 წელს ჩავირიცხე ქ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში - იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე და 2021 წლის 04 აგვისტოს N24-05/17 გადაწყვეტილებით მომენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი საჯარო სამართალში. 2018 წლიდან 2020 წლამდე ვმუშაობდი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის იურიდიულ განყოფილებაში, პირველი კატეგორიის უმცროს სპეციალისტად. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 24 ივლისის (№128-უ.ს.რ.ს.) დადგენილებით ამირჩიეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრად და დღემდე აქტიურად ვარ ჩართული საარჩევნო საქმიანობაში.

მარიამი გუგუნავა

28.07.2025